რედაქცია

მელიქიშვილის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადი—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

მომავალ 1877 წელს გაზეთი

## „დროება"

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდამ „დროების" რედაქციის შრომაში უფრო დაახლოებულ მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი და ნ ი კ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენათაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საჭირო გავხადოთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

### ხელის-მოწერა

მიიღება თ ფ ი ლ ი ს შ ი—„დროების" რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბაზრის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ Типографію Меликова.*

სხვა ქალაქებში „დროებაზე" ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ქუთაისში—სვ. მესხთან (სოლოზე), ფოთში—თ. ანტ. ლაზ. ნიკაშიძესთან და მღ. ბაბალოვთან, ახალ სენაკს—ნიკ. დგებუაძესთან, ზუგდიდს—თ. ტარ. ალექ. დადიანთან, ოზურგეთს—ანტ. ჯაყელთან, ყვირილაში—მ. დავ. ღამბაშიძესთან, გორს—ალალო თუთაევთან, ახალციხეს იოსებ სულხანოვთან და თელავს—თ. ლევან ჯანდიერთან.

| გაზეთის ფასი—გაგზავნით და გაუგზავნელად | მან. | კაპ. |
| --- | --- | --- |
| წელიწადში | 8 | „ |
| ნახევარ წელიწადში | 4 და | 50 |
| სამის თვისა | 2 და | 50 |
| ერთის თვისა | 1 — | „ |

**აქვე საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების" აგენტები იკისრებენ.**

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა ადრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ეს რედაქციას.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი

რედაქტორი ს. მესხი.

# საქართველო

## თევზის სიძვირე

თუ რომელსამე საგანზე შეიძლება ითქვას, რომ ეს საგანი ხალხის ცხოვრებისათვის „აუცილებელ საჭიროებას" შეადგენსო, უეჭველია, ესევე უნდა ითქვას თევზზედაც.

ეს ითქმის განსაკუთრებით ჩვენი ხალხისა და კიდევ უფრო ჩვენი ქალაქის შესახებ. ქალაქს უთევზოდ გაძლება არ შეუძლიან, იმას უყვარს თევზი, ქალაქის ქართველებისა და სომხებისათვის თევზი ისეთივე საკვები და საზრდოა, როგორც პური.

მაშა სადამე პირველ მოვალეობას იმ დაწესებისას, რომელსაც ხალხის ბედზე ზრუნვა აქვს მინდობილი, სხვათა შორის, ისიც უნდა შეადგენდეს, რომ ეს აუცილებელი საზრდო ჩვენს ხალხს არ მოაკლდეს, იმდენად არ გაუძვირდეს, რომ იმით საზრდოობა გაუჭირდეს.

როგორც მოგეხსენებათ, ქალაქი და თითქმის მთელი კავკასია იმ თევზით იკვებება, რომელსაც სალიანში და საზოგადოთ ბაქოსაკენ იჭერენ. მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ ყველა ეს თევზის საჭერი წყლები (კასპის ზღვის ნაპირები, სალიანის ტბა, ბოქჩა, არაქსი და სხვ. მდინარეები) სახაზინოა და ხაზინა იმათში ზღვის დაჭერის უფლებას იჯარით აძლევს, კანტრაქტით.

როგორც ბუზები თაფლს, ისე ეხვევიან, ისე შენატრიან ხოლმე ჩვენი მდიდარი ვაჭრები და კაპიტალისტები ამ იჯარის აღებას. ადვილადაც გასაგებია ეს: მართლა, თავიდამვე—ვისაც კი ეს თევზის დაჭერისა და გაყიდვის უფლება იჯარით აუღია, ყველა გამდიდრებულა, ყველა მილიონერებად შექმნილა. უფ. მირზოევები ამ იჯარამ წამოაყენა პირველად ფეხზე, უფ. არშაკუნიმ თევზის წყალობითააშენა ის „კრუქოკის" სახლი, რომლის სიმშვენიერე და სიმდიდრე ჩვენ გვაკვირვებს, თამამშევი ამან გააკეთა და სხვ. ახლა ეს იჯარა ონანოვსა და ამხანაგებს აქვთ და, როგორც ამბობენ, წელიწადში უკანასკნელი ოთხმოცი ათასი თუმანი ნაღდი მოგება რჩებათ. ერთის სიტყვით, ჩვენი ვაჭრებისათვის სალიანის თევზი კალიფორნიად არის გადაქცეული....

„ჩვენს ხალხს თევზი და ხიზილალა უყვარს, ის უთევზოთ ვერ გასძლებსო, ამბობენ თავის გულში იჯარადრები, ერთი შაური, აბაზიც რომ მოუმატოთ გირვანქაზე, მაინც კიდევ იყიდიანო!" და უმატებენ ფასს, უმატებენ, მაგრამ ამ მომატებასაც რო ბოლო აღარა აქვს! უფ. მირზოევების დროს ერთი გირვანქა გამხმარი თევზი ორ შაურად ღირდა და კარგი ხიზილალა—აბაზად; ახლა გამხმარ თევზს გირვანქას აბაზ, ექვს შაურს ნაკლებ ვერ იშოვნი და ხიზილალას თოთხმეტ შაურ, მანეთ ნაკლებ!

აქ ძალა-უნებურად ერთი მეწისქვილის არაკი გვაგონდება:

ერთი ძლიერ სასტიკი მეწისქვილე ყოფილა თურმე, რომელიც რაც უნდა გაჭირებული კაცი მისულიყო, სანამ დანიშნულ ღალას არ მისცემდა, მინამ არ დაუფქვამდა ხორბალს. მეწისქვილე მოკვდა. დარჩა ვაჟი, რომელიც იმ წისქვილს დაეპატრონა. თქვენ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რომ ხალხი ლოცვა-კურთხევით და ქებით არ მოიგონებდა მიცვალებულს.

ახალმა მეწისქვილემ იფიქრა: თუ მუდამ დღე ამდონი წყევლა შეუთვალეს მამა ჩემს, უეჭველია, წაწყმდებაო! ერთი ისეთი რამ საშუალება უნდა მოვიგონო, რომ ხალხს დავალოცვინო და „აცხონოს" შევათვლევინო იმის სულისთვისაო!

და მართლაც მოიგონა: განკარგულება მოახდინა, რომ სანამ დაფქვის ღალას წინათვე არ მომცემთ და ერთი-ორათაო, მანამ წისქვილშიაც არავის შევატანინებ ხორბალსაო. შარვსად შეწუხებული ხალხი მუდამ დღე ამბობდა თურმე: „აცხონა ისევ ღმერთმა მამა მისი, წისქვილში მაინც შეგვატანინებდა ფქვილს და არც ამდენ ღალას გვართმევდაო! აცხონა ღმერთმა!"

იქნება უფ. ონანოვსა და იმის მოამხანაგე იჯარადრებსაც, ამ მეწისქვილესავით, ის განზრახვა ჰქონდეთ, რომ უფ. მირზოევების სული აცხონებინონ ხალხსა და იმათი სახელი კეთილად მოაგონონ! თუ ესეა, დარწმუნებული იყვნენ, რომ თავიანთ საწადელს უკვე მიაღწიეს...

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქალაქის მცხოვრებლები ქაღალდს ამზადებენ ამ ჟამად კავკასიის სამოქალაქო მთავრობისთვის მისაცემად, რომელშიაც ისინი განმარტებენ თავიანთ გაჭირებას, ამ თევზის სიძვირის გამო, და თხოულობენ, რომ მთავრობამ ტაქსა დანიშნოს და საზოგადოთ სხვა რაიმე ღონის-ძიება იხმაროს თევზის გაიაფებისათვის.

იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ამ საჭირო და კანონიერ თხოვნას, მეიჯარადრებზე საზოგადო საჩივარსა და უკმაყოფილებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და ამით ხალხის გაჭირებას, ამ მხრით, ცოტაც არის მაინც შეამსუბუქებს. ვამბობთ, „იმედი გვაქვს"-მეთქი მით უფრო, რომ, როგორც ამბობენ, ახლანდელი მეიჯარადრეები ხაზინასთან შეკრულს პირობას (კანტრაქტს) გადავიდნენ და მაშასადამე ამ მეიჯარადრეების ან სულ გადაყენება და ან ხელის მოჭერა მთავრობისათვის ადვილად შესაძლებელია. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ხალხის ბედის შემსუბუქებისათვის მმართებლობას ყოველი ღონის-ძიების ხმარების უფლება აქვს...

ს. მ.

## დღიური

დიდი ხნიდამ ერთი უსაფუძვლო გადასახადი არსებობდა ჩვენს ქარვასლებში: წვრილ მოვაჭრეებს, რომელნიც ხელით ატარებდნენ თუ შეკერილ ტანთსაცმელს და თუ სხვა რამეებს, ყოველს გაყიდულს ნივთზე ქარვასლების პატრონები გადაჭრილს გადასახადს ახდევინებდნენ. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია და განკარგულება მოუხდენია, რომ ეს უკანონო გადასახადი დღეის შემდეგ არავის გადახდესო.

* * *

ვაი იმათ, ვინც ქალაქის ყრუ ქუჩებში ცხოვრებენ! ნამდვილად რომ „მიყრუებული" ქუჩები ესენი არიან! წელიწადი ისე გაივლისო, გვეუბნებიან და ამას ყველაც ხედავს, რომ ქალაქის გამგეობა იმ ყრუ ქუჩების გაწმენდას და გასუფთავებას არც კი

გაიხსენებს. დამპჩვალი კატა, მოკლული ძაღლი, ნაგავი, ყოველივე სიმყრალე იქ ყრია და ზოგან ისეთი სუნი დგას, რომ კაცს უკვირს—იმ ქუჩებზე მცხოვრებნი ხალხი რატომ ნიადაგ ავათ არ არიან. ტალახი ხომ რაღა თქმა უნდა.

ახლა რომ ვსთქვათ, ჩვენი ქალაქის გამგეობა სულ მარტო მიხაილოვის შოსესა და გოლოვინის პროსპექტის სისუფთავეზე და რემონტზე უნდა ზრუნავდეს? ამ ორის ქუჩისაგან მხოლოთ ხომ არ შესდგება ჩვენი ქალაქი?!

* * *

საფაროვის სახლის დაწვის დროს, ორი უბედური შემთხვევა მოხდა: იმ სახლის გვერდით სახლიდამ მებელს ალაგებდნენ; ფანჯრიდამ ერთმა სალდათმა შკაფი გადმოაგდო ქუჩაზე; შკაფი—ერთს დედაკაცს დაეცა. როგორც გვეგონა, ეს დედაკაცი იქვე მომკვდარა. მეორე უბედურება თვითონ ცეცხლის კამანდის უფროსს (ბრანდმეისტერს) შეემთხვა: საფაროვის სახლის სახურავიდამ ფიცარი გადმოვარდა, ზედ დაეცა და პირისახე გაუფუჭა. მძიმედ არის დაჭრილი, მაგრამ სიკვდილით კი, ამბობენ, არა უშავს რა.

* * *

შეითან-ბაზარში, მაიდანთან, კიდევ გაჩნდნენ მატყუარა ქაღალდის მოთამაშენი. ვილაც სპარსელები და კინტოები დასხდებიან თურმე ქუჩაზე; რამდენიმე ამხანაგით ახლავთ; დაიწყებენ სამი ქაღალდის შლას, და ვინც გამოიცნობს, აბაზს, ათ შაურს, მანეთს ნიძლავს სდებენ. ჯერ მათი ამხანაგები იწყებენ ამათთან თამაშს; მოიგებენ; ამ დროს ხალხიც გარს შემოეხვევა; ამათში ერთი-ორი სოფლელი ხამი ვინმე გამოჩნდება, წაქეზდება მოგებით, ამოიღებს ფულს და იწყებს თამაშს; რასაკვირველია, წააგებს; ერთის მინუტის განმავლობაში ხშირად უკანასკნელს სამ-ხუთ მანეთს ასცლიან და ისტუმრებენ.

ამ უსინიდისო მატყუარობაზე ჩვენსა და სხვა გაზეთებში რამდენჯერმე იყო ნათქვამი და, გვგონია, დროა, რომ ქალაქის პოლიციამ ბოლოს ყურადღება მიაქციოს და ხამი ხალხი ამათგან დაიცვას.

* * *

ახალი უფროსი პოლიციმეისტერის მოსვლით ჩვენს ქალაქში ჯერ მხოლოდ პოლიციის აფიცრების (კვარტლების) ქუდებს შეეტყო: ყველა კვარტლის თავზე ახლა, პოლიციური ფორმის ქუდებს ნახავთ. შეეტყო აგრეთვე ცეცხლის კამანდის ბოჩკებსა და მაშინებს: ისინი ახლად შეღებეს მწვანედ.

* * *

თუ რა ოსტატობით იქცევიან ჩვენი ქალაქის დახელოვნებული ქურდები, ამის დასანახავად შემდეგი მაგალითი მოგვყავს, რომელიც ამ დღეებში მომხდარა შუა-ბაზარში და რომლის მსგავსი, როგორც გვითხრეს, თითქმის ყოველ დღე ხდება:

ნაბდიანი კინტო ერთს სოფლის გლეხთან მიდის და ეუბნება, რომ მოპარული ჩოხა მაქვს და იაფად მოგყიდიო! საწყალი გლეხი ბრიყვდება და დაუწყებს ვაჭრობას. კინტო ნაბდის ქვეშიდამ ცხვირ-სახოცში გახვეულ ჩოხას გამოიღებს და უჩვენებს; მერე ისევ შეინახავს იქვე. გლეხი ხუთ მანეთამდე ურიგდება ისეთს ჩოხას, რომელსაც სხვაგან თუმან ნაკლებ ვერ იშოვის. კინტო გამოიღებს იდლიდამ გახვეულ ცხვირ-სახოცს და გადასცემს გახარებულ გლეხს; ეს უკანასკნელი თავის მხრით საჩქაროთ დამალავს, რომ ნაქურდალია და არავინ დამინახოსო. ქალაქს რომ გასცილდება და გახსნის ცხვირ-სახოცს, რომ ერთხელ კიდევ დახედოს და დასტკბეს იმის ცქერით, გაკვირვებით დაინახავს, რომ ახალი ჩოხის მაგივრად, კინტოს რაღაც ძველი ჩვრები და ძონძები გაუხვევია იმგვარსავე ცხვირ-სახოცში და მიუცია....

აპნაირადვე ხშირად ატყუილებენ თურმე ესეთ ჯიბის ოსტატები სოფლის ხამ ხალხს ვერცხლის ქამრისა და სხვა თუ ტანთსაცმლისა ან ნივთების გაყიდვის დროს. ატყუილებენ და ყურის მგდებელი, პატრონი არავინ არის, რომ იმათ გამოესარჩლოს..

* * *

ახლანდელი ჩვენი ქურდები თითქმის ყველანი ერთნაირად იწყებენ თავის ხელობის სისრულეში მოყვანას: შეხუდებიან თუ არა ვინმე თავიანთ საკბილოს, პირ-და-პირ მიადგებიან და დაუძახებენ:

—ჩემი ფულები რო გმართებს, რატომ არ იძლევი?

გაკვირვებული კაცი იკითხავს:—რომელი ფული? ვინა ხარ შენ? როდის მოგიცია?

მაგრამ ჯიბის ოსტატი ბევრს ალაპარაკებს: კარგი მოიტა! თუ არა გაქვს, ღვინის ფული მაინც მასესხე, თორემ ამას ხომ ხედავთო! და უჩვენებს ხანჯალს, ან ისე პირ-და-პირ ეცემიან და სცარცვენ..

## წერილი რედაქტორთან *)

ნოემბრის 30-ს, სამშაბათს, ერთის კვირის ხველებისაგან გაბეზრებულს, გამიხსენდა ტფილისის სამკურნალოში (ლეჩებნიცაში) წასვლა. დილითვე, ცხრა საათის ნახევარზე, დაჩქარებით გავიქეცი, რომ რიგი მეც მომგებოდა, მისგან შეშინებულმა, რომ ამ წამლობაში ცხრა საათზე წავედი იქნება და აღარ მიმიღებენ; ავათმყოფების რიცხვი შესრულებულიაო!

წაველ, მაგრამ, არათუ ექიმი, სახლის მცველიც კი არ დამიხვდა. ცხრა საათი რომ შესრულდა, მაშინ მიგვიღო ფერშალმა, (თქვენი გაზეთი გვარწმუნებს, რომ რიგზე მიგიღებენო) და ექვსი შაურის წარდგენის შემდეგ, დასწერა ჩემი გვარი. მეც და სხვა ბევრმა ავათმყოფებმა ვიდრე თერთმეტ საათამდის ვუცადეთ ერთ კარგა მყოფს კაცს, რომლისაც მოლოდინი გვქონდა ან ვერმიშევისა ან მარქაროვისა.

ვისაც გამოუცდია, ის მიხვდება, როგორ ბეზრდება ავათმყოფი სხვა სახლში ექიმის მოლოდინით; მე კი სისუსტის გამო არ ვსწუხდი; მხოლოდ ვეჩქარებოდი საქმეზე დროზე წასასვლელად; და სწორეთაც ისე იყო, როგორც მეორე ავათმყოფებსაც ვუთხარი: „მე ახლა აღარ მახველებს; მხოლოდ გულის წუხილი ამივარდა ექიმის მოლოდინეს, და ახლა ექიმს უნდა ვსთხოვო გულის წუხილის წამალი, და მის შემთხვეულობის მიზეზიც-მეთქი.“

უკანასკნელად დავინიშნე დრო თერთმეტი საათი, რომ თუ მაშინაც არაფერი მეშველებოდა, გამოვბრუნდებოდი; მაგრამ აკლდა ოთხი მინუტი და უ. ექიმი ვერმიშევი წამოგვადგა თავს. ჩემს უწინ სამიოდე ავათმყოფი მიიხმო, და როგორი სიჩქარითაც ისინი გაანთავისუფლა, თუ არ ნახვით, ძნელი დასაჯერებელია. მერმე მიმიხმო მე, მკითხა ჩემი ავათმყოფობის მიზეზი, და პირველი პასუხი იყო, ერთი კვირაა მახველებს; არ გამოიძია—თუ როგორ მახველებს, როგორი მიზეზია, და მეტის-მეტის სიჩქარით წამოიძახა; „მიბრძანდით მეორე ოთახში და გაიხადეთ ტანს, ჩქარა!“

გავიქეც მეორე ოთახში, გავიძრე ტანისამოსი, მაგრამ ვერ მოვასწარ, მაშინვე უკან მომყვა, ჩემივე პერანგი გადმახურა თავზე, ექვსიოდე ძლიერ ამამასუნთქებინა და ყური დაადო უკან წელზე და ბეჭებზე. თქვენი რისხვა არა მაქვს, იმან ვეღარაფერი ვერ გაიგო, თუნდა რომ კიდეც გასაგები ყოფილიყო რამე; რაც იქ არა მტკიოდა-რა, რას გაიგებდა? და მაშინვე გამოიქცა გარეთ; მე ერთი კი გამიხარდა, რომ მალე თავი დამანება, რადგან ციოდა და სიცივეში ჩემთვის ტანის სიტიტვლე არ არის სასიამოვნო. ვგონებ იმ სახლში ბუხარს და შეშას არ აწუხებენ, და როგორც თვით არც მათ ასრულებინებენ თავიანთ მოვალეობას... მეც ტანისამოსი გადვიცვი, გულლია გამოვვარდი და მივაძახე კიდეც: „იცით, მე როგორი მახველებს? წინ ყელთან მიქავება და ხველებაც იმისგან მაქვს-მეთქი!“ მან რეცეპტი ნახევრად კიდეც დაწერილი ჰქონდა, მომაძახა: ვიცი, ვიციო და შეასრულა რეცეპტი. წაველ, ფთიაქში რომ შეველ და ხალხის სიმრავლე დავინახე, რომლებიც წამლებს უცდიდნენ. მე ჩემი რეცეპტი მივე და გამოვბრუნდი; ერთი საათის შემდეგ სხვას ვაგზავნი წამლისთვის, და მოაქვს ჩემთვის ექვსი პარაშოკი ხინა და ერთი შუშა სიცხის გამოსაწველებელი წამალი! მე არც მაციებდა და არც სიცხე მქონდა, სიცხე კი მქონდა მაგრამ არა გამოუწველებელი [illegible] ხველების მორჩენისათვის [illegible], რაც მირჩებოდა, რადგან ის მისგან იყო.

მე მაშინვე გადავყარე ერთი პარაშოკი; დამეხვია ყელზე იმ ადგილს, სადაც მექავებოდა, დამაწყებინა ხველება და მომიმატა იმდენი, რამდენსაც, მანამდი არ მხველებდა ისე გაბმულად და ძლიერ რომ, ხველებაში რაღაც პირუტყვის ბლავილის ხმა გამოისმოდა. რომ ველარ მოვიბრუნე სული ამოსასუნთქავათ, პირს დამანალველა კიდეც, დაბნედილსავით გავხდი, მივწექ და მივიძინე.

მე არ ვამბობ, რომ ექიმებიცა და აფთიაქის წამლებიც არ არის დასაჯერებელი-მეთქი; ავათმყოფისთვის ექიმი კარგია, მაგრამ, თუ ზოგი ექიმი კუთვნილს წამალს არ მისცემს? იმიტომ კი არა, რომ მეტი არ ესმისო; თუ აგრე იყოს, ეგ ადვილი მოსანელებელია, მაგრამ ჩქარობს და არ ცდილობს. აგრეთვე აფთიაქის წამალიც, უეჭველია, კარგია; მაგრამ ხველებისთვის ხინა? ისიც როგორი ხველებისთვის,—ყელთან გაქავებოდეს?!

სამკურნალოში ამ საქმეების მნახველს გამახსენდა ეს ანდაზა, რომ „თაფლი კი გემრიელია, მაგრამ ძაღლის გუდაშია.“

მე მითხრეს, რომ სამკურნალოში ექიმები რომ დადიან, ჯამაგირს არ იღებენო, და მიტომ სამდურავი არ ეკუთვნითო. მე არ ვიცი, მართალია თუ არა, თუ კიდეც მართალი იყოს, უფრო უარესი: რათ კისრულობენ ზოგიერთნი ისეთ საქმეს, რომელსაც არ შეასრულებენ? უ. ვერმიშევს რომ არ ეკისრა იქ უფულოთ მისვლა, მე არც აფთიაქს ორიოდე მანეთს შევსწირავდი, და არც უფრო ხველებას მოვიმატებდი. იმის იქ უფასოთ მისვლით ან იმან რა გააკეთა და ან მე?

დასასრულ ვსთხოვ უ. ექიმს ვერმიშევს, რომ, თუ ის ამ სამდურავს შეურაცხ-ყოფათ მიიღებს, და თავის თავზე კუთვნილად არ დაინახავს, ჰკითხოს უფ. ჩვენს რედაქტორს ჩემი გვარი და ბინა, სასამართლოში მიჩივლოს და მსაჯულს დამასაჯინოს, თუ ესენი ნამდვილად არ დაუმტკიცო. და თუ თავის თავზე კუთვნილად დაინახავს ამბავს, ვსთხოვ, რომ გამოიცვალოს ხასიათი, ან თავი დაანებოს ამისთანა მუქთის სამსახურს, თორემ იმდენს ავათმყოფებთან ისე მოქცევა არ არის საკადრისი კარგის და პატიოსანის ექიმისათვის.

*) ეს წერილი, როგორც მკითხველი დაინახავს, შეეხება იმ წესებს, რომელნიც ასე დიდის ამბით ღარიბი ხალხისათვის, 4 აპრილის სახსოვრად გახსნილს ტფილისის სამკურნალოში შემოიღეს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პატივ-მოყვარე ექიმები ამ წერილის შინაარსს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ. რედ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ზემო იმერეთი, დეკემბრის 2-ს. იმერეთში, როგორც ყოველს სხვა ქვეყანაში, ყოფილა და არის ბევრი ცუდი და უკადრისი ჩვეულებანი და ბევრი კეთილი და მოსაწონნი. ზოგი ცუდი და უკადრისი ჩვეულებანი ჟამითი [illegible] მოსპობილია, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, რამოდენიმე კეთილი ჩვეულებანიც თან გაჰყოლია.

დღეს მე მინდა გითხრათ რამდე-

ნიმე სიტყვა ერთს უხეირო და სავნებელ ჩვეულებაზე, რომელიც ძველიდამვე თითქმის შეუცვლელად დარჩენილა ჩვენში და მიცვალებულის ტირილზე მოგახსენებთ.

როდესაც რომელიმე თავადი ანუ აზნაურთაგანი მოკვდება, ოჯახის პატრონი მიიწერება ყოველგან, სადაც ჰყავს ნათესავი, მოყვარე თუ მეგობარი, რომ „ეს უბედურება მოვლინდა ჩემზედაო და გთხოვთ მობრძანდეთ ამა-და-ამ დღეს და ვიტიროთო." დაუნიშნავს ათს, თხუთმეტს ანუ მეტს დღეს ვადას. რა მდგომარეობაში იქნება მიცვალებულის გვამი ზაფხულის დროს და ამასთან სახლობა მისი, რომელმაც, ამ დროს განმავლობაში, ყოველ დღეს გათენებისას და საღამოზედ უნდა იტიროს სხვა და სხვა სიტყვებით? მერე და ამისა მახლობელი მეზობლები დილიდამ საღამომდის თითო-ოროლა მოდიან სატირლათ, რაც დრო უნდა იყოს და ქირისუფლები უნდა დახვდნენ მოტირალი და მღვდლები შემოსილნი ჯვარითა და საცეცხლურით.

მოვა რა დანიშნული დღე, შეიკრიბებიან როგორც შორიდან მოწოდებულები, ისე მეზობლები. პირველად სატირლათ შევლენ მიცვალებულთან თითეულად მახლობელნი მეზობელნი. ორ-კაცს უჭირავს აქეთ-იქით მკლავები, წინ-მიუძღვიან მოზარეები (მგლოვიარეები), პირველად იტირებს მიცვალებულს, მერმე შეიყვანებენ გაკვეთებულს, სადაც ქირისუფლები სხედან, (ბოლოზე სხდან გაშლილ ნოხებზე) და თითეულს მათგანს უნდა მიუტიროს სხვა და სხვა სიტყვებით.

გაათავებენ თუ არა მახლობელი მეზობლები, ახლა მივლენ შორიდამ მოწოდებულები, ჩამოხტებიან ცხენებიდამ ეზოში; პირველათ შევლენ ხლებულები, მოსამსახურები თუ მოზარეები ერთად და იტირებენ; მერმე, რომელიც უფრო მახლობელი ნათესავია მიცვალებულისა, პირველად იმას მოჰკიდებს ხელს ორი კაცი აქეთ იქით მკლავებში, წაუძღვებიან წინ მოზარეები, მათ მიუძღვის მათი ხლებული მღვდელი შეუმოსავი. მივა რა მომტირალი (თუ ქალი, თმა-გაშლილი), კარებზედ შემოეგებებიან სამღვდელოები და უკმევენ საცეცხლურს; და [illegible] თუ არა კუბოს, სითნაირათ გაცხარდება, რომ [illegible] იმ [illegible] ხელებს დაანებებს თავს მოიკლავს; მარამ ისე მაგრათ უჭირავთ, რომ თავში მკლავ-საკრავათ არ ანებებენ ხელს. მერმე მივა კუბოსთან და დაიჩოქებს, რაებს იტყვის ვინ იცის; ზოგი თავის თავს ილანძღავს: „მე ქვეყანაში არ გამოსასვლელი, მე შერცხვენილი, მე თავს-ლაფ-დასხმული, მენ როგორ გიტირო?" და სხვა. ამ სახით მივლენ სხვებიც (ცოლი-ქმარი უფრო სხვაფრივ უნდა იტიროს; თორემ არ ვარგა, რომ ცოლის შემდეგ ქმარმა ანუ ქმრის შემდეგ ცოლმა იტიროს.) როდესაც ისინი გაათავებენ, მათის პატივისცემისთვის იტირებენ ისინიც, რომელნიც მათ მოჰყვნენ მიცვალებულისას და რომელნიც მოგზაურობის დროს იმღეროდნენ, და ჯირითობდნენ და ისვრიდნენ თოფსა ქორწილში მიდიოდნენ.

მოკლე ვკითხოთ ამ უგ. მომტირლებს: საკადრისია ამ გვარი მაჩვენებლობა და მლიქვნელობა ან მიცვალებულისათვის და ან თვითონ იმათ ქვეყნის მობილ წოდებისათვის?! [illegible] მაგრამ, ვისაც კი ესმის რამე, გეტყვის: „უგვარო არის; მაგრამ რა ვქნათ, ჩვეულებაა!"

ამ ჩვეულებით ზარალი და ვნება მოსდის ქვეყანას; რამოდენი მაგალითი მომხდარა, რომ ზამთრის დროს მოწვეული სატირლათ გზაზედ გაციებულა და მომკვდარა, რამოდენის მიცვალებულის სნეულება შესდებია, მით მომკვდარა და მისგან კიდევ სხვებს გადასდებია, რამოდენი ამაო ხარჯი მოსდით მათ, რომელნიც მიდიან სატირლათ და მიჰყავთ ხანასზე მეტი ცხენოსანი კაცი და ქალი! აგრეთვე მიცვალებულის პატრონს მათის მასპინძლობით, თუ ცხენების ბინის შოვნით და საჭმლით?! ამას არც ერთს არ ანგარიშობენ.

დაასაფლავებენ რა მიცვალებულს ქირის-უფალნი, დედა, მამა, ქმარი თუ ცოლი, ძმა და და სხვანი მახლობელნი არ სჭამენ ხორცს, სანამ ეპისკოპოსი, ანუ ვინც უფროსი სამღვდელოთაგანი იქნება, ანუ რომელიმე წარჩინებული პირი არ მივა და არ სთხოვს და შეაძლევს ერთ ლუკმას ხორცს. ზოგი მალე აასრულებს ამ თხოვნას და ზოგი იტყვის: ყელი არ ჩაუშვებსო და იქნება არც კი სჭამოს ორმოცამდინ, თუმცა ძრიელ უნდა ჭამა და ჩუმათ ლობიოში, თუ ქვეშ ქათამი ჩაუწყო და ზევიდან ლობიო მოასხა და ქოთნით შემოუტანა ერთგულმა გამდელმა, მიირთმევს ჩუმათ, მარამ საზოგადოთ უჩვენებს თავს ხალხს, რომ დიდი მწუხარე არის.

ამ უგვარო და უკადრის ჩვეულებასთან არსებობს კარგი და სასარგებლო ჩვეულება — შესაწევარი რომელსაც უწოდებენ „მადასახურავს". ამის მიზანიც ის არის, მოწოდება სატირლათ გარდაცვალებულისა მონათესავეთა და სხვათა, რომელნიც ამ გვარათვე დავალებულნი არიან.

ეს კეთილი ჩვეულება შესაძლოა არის და საჭიროც, რომ განგრძოს, რადგან თვით შეძლებულ სახლსაც შეეძლება შეემთხვეს ისეთ დროს იკვდილი, რომ არ ჰქონდეს ხელთ ფული და ეს გადასახურავი ამ დროს ხელს უმართავს. მაგრამ კარგი იქნება, რომ ეს კეთილი ჩვეულება ისე შეიცვალოს:

როდესაც ვისმეს სახლში წევრთაგანი ოჯახისა, სახლის უფროსმა აცნობოს იმ პირთა, რომელნიც ვალდებულნი არიან, და დაუნიშნოს მახლობელ მცხოვრებთ სამი დღე ანუ არა უმეტეს ოთხისა, ხოლო შორს ცხოვრებთ 15 ანუ 40 ანუ რამოდენისაც ინებოს მიცვალებულის პატრონს, მოაწოდოს ესრედ, რომ მა-და-მ დღეს წირვა მექნება ამა-და-ამისა და გთხოვთ მობრძანდეთ და სხვ. მოვიდნენ მოწვეულნი, როგორც პირველ მოკლე ვადაზედ ისე მეორეზედ და ჩვეულებრივი შესაწევარიც მოუტანონ, რომელნიც გულით მწუხარე არის, იტირებს, გარნობით ანუ ზარით, როგორც ნაცნობნი და ესრედ შეასრულონ უკანასკნელი პატივის ცემა მიცვალებულისა.

მოკლე ორიოდე სიტყვა იმაზე — თუ რა კეთილი და საქებური ჩვეულებები გვჰყავა ძველ ცრუდ ჩვეულებათა, რომელნიც დრომან მოსპო.

1) იმერეთში იმ დროს უცხო იყო ქურდობა, რომ მცხოვრებთ სამსა და ოთხ თვეს ყაჩაღად საბალახზედ გაშვებული ცხენები ისე, რომ არცა კი დახედავდნენ. მუშა — ხალხი იმუშავებდა რა ყანაში, საღამოზედ სამუშაო იარაღს დატოვებდა იქ და როდესაც მეორე დღეს მივიდოდნენ სამუშაოთ, იქვე დახვდებოდათ ხელ-უხლებლად. ეს კიდევ არაფერი: მუშაკნი წავიდოდნენ ტყეში, ოცს ვერსზედ თავიანთ სახლიდან, სამუშაოთ, იმუშავებდნენ ორშაბათიდამ შაბათ საღამომდის და საღამოს წამოვიდოდნენ სახლში; ყოველ იარაღს და საზრდო ხორაგს, რაც ექნებოდათ, დატოვებდნენ კარვეში; შეიძლებოდა მეორე კვირას ვერც კი მისულიყვნენ; მაგრამ როდესაც კი მივიდოდნენ, ყოველი დატოვებული დახვდებოდათ მთლად. მე თვით ჩემის თვალით მინახავს ოცის წლის წინეთ ლელეში, მოსახლიდან ნახევარ ვერსტზედ სარტყე ქვაბები დატოვებული და როდესაც ვკითხე — თუ რათ არის ეს ქვაბები აქა-მეთქი, პასუხათ მითხრეს: არაყი გამოვხადეთ გავათავეთ და არ წავიღეთო; კიდევ გვინდა, ღვინოებს რომ გადავიღებთ, თხლე გამოვხადოთ და წლებას რაილას გამოვერჩებითო. რომ ვინმე მოგპაროსთ მეთქი? — რას მიბრძანებთ?! მოპარვა როგორ იქნებაო!!

2) ფიცის მორიდებლობა იყო ისეთი, არათუ სხვის თხოვნით ანუ შეგონებით და მოსყიდვით დაეფიცნათ ტყუილზედ, მსგავსად ახლანდელისა, თავის საკუთარ საქმეზედ რომ დაედებოდა განჩინებით ფიცი, რაც უნდა სიმართლე ქონოდა, უჯობესად არჩევდა ნახევარი სადაო საგანი დაეჯერებია და არ დაეფიცნა.

3) სიცრუე იმდენად სასირცხო და საშიშარიც იყო, რომ ვისაც შეამჩნევდენ სიცრუეს, ყოველი კაცი ერიდებოდა მასთან ამხანაგობას, მეგობრობას და მოყვარეობას და შეკრებულობაში თუ ვინმე დაუწყებდა მართლ ლაპარაკს, მიაძახებდნენ: „რას ელაპარაკები მაგ ცრუს მაგას, წელიწადში ერთის მართლის მეტს არ იტყვის და იმასაც: „ქრისტე აღდგა!"

სამწუხაროდ დღეს სამივე ისე გაადვილებული არიან, რომ თვით ქურდობაზედ, რომ მიასწრონ და დაიჭირონ ქურდი, თუ რამოდენიმე გარეშე მოწმე არ დაესწრო, იტყვის, რომ ჩემთვის გზაზედ მივდიოდი და ტყვილად დამიჭირესო!

წარმოიდგინეთ, რომელი ქურდი იქნება ისე გიჟი, რომ მოწმები დაისწროს ქურდობაზედ; მაგრამ გამომძიებელი მაინც პატივ—დებაში მიიღებს მის ჩვენებას და ათავისუფლებს. ხშირათ მოხდება ისიცა, რომ ქურდობა ცხადათ უმტკიცდებოდეს, მაგრამ გამომძიებელი თუ მოსამართლე ათავისუფლებს თავდებს ქვეშ და ამითი ეძლევა ქურდს საშუალება იშოვოს ცრუ-მოწმები და გაიმართლოს თავი და შესაძლოა არის, რომ თვით ის დაისაჯოს, ვინც გაქურდა და გადახდევინოს ზარალი ჩვენი გამოჩენილი ადვოკატების შეწევნით, რომელნიც მოსცემენ დარიგებას — თუ როგორი მოწმები იშოვოს. მე თვითონ ჩემი თვალით მინახავს, რომ ადვოკატმა მიწოდებული სამჯავროში მოწმე გაიყვანა ცალკე და ჩამოსცურით გავიგონე, რომ არიგებდა ასე სთქვიო; მაგრამ გონიერულმან კითხვამ თავ-მჯდომარისამან დაარღვია და ყოველი დარიგებული ადვოკატისა დაიწყდა.

თავდებით უდგებიან ცხადათ ქურდებს ისეთი ოჯახის შვილები, რომ არ დაეჯერებათ და ეს არის მიზეზი ქურდობის გავრცელებისა და არა ის, რომ სასამართლო სუსტათ ექცევა ქურდებს. სამჯავრომ რაც უნდა დაინახოს დანაშაული ქურდისა და იცოდეს კიდევაც, რომ დამნაშავე არის, თავდებისა შემწეობით ადვოკატის დარიგებით შოულობენ ცრუ მოწმეებს და მართლდებიან და შემდეგომშიაც განაგრძობენ თავიანთ ხელობასა და შოულობენ სხვა ამხანაგსაც.

ცრუ ფიცი ისე გახშირდა, რომ ჩინებულ აზნაურიშვილსა და თავადს 5—10 მანეთად, რაზედაც გნებავს, იმაზე დაეფიცებით სასამართლოში.

სიცრუეზედ ლაპარაკი აღარ არის საჭირო; ზემო დაწერილობით [illegible] ნობება — თუ როგორ გაადვილებული იქნება სიცრუე მაშინ, როდესაც ფიცითაც არ ამბობენ მართალს!..

სხვიტორელი

# უცხო ქვეყნები

სტამბოლის კონფერენცია. ნოემბრის 30-ს ყოფილა პირველი კერძო თავყრილობა ყველა იმ სახელმწიფოების წარმომადგენლებისა, რომელნიც კი იღებენ მონაწილეობას სტამბოლის კონფერენციაში. — ეს ყრილობა ყოფილა ღენ. იგნატიევისას და თავ-მჯდომარეთაც ეს ამოურჩევიათ. — როგორც ნემეცური გაზეთი „პოლიტიკური კორრესპონდენცია" ამბობს, ამ ყრილობას ძიელ კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია ყველა დამსწრეზედაო. საქმე იმაში მდგომარეობს, ამ გაზეთის სიტყვებით, რომ რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენლებთ შორის უმთავრესს კითხვებზედ, რომელნიც თავათ კონფერენციას ექვემდებარებიან განსახილველად, თანხმობა მომხდარაო, ასე რომ იმედი აქვსთო, კონფერენციაც ყველასათვის სანატრელათ გაათავებს თავის მუშაობასაო. —

— მარკიზს სალსბიურის კონსტანტინოპოლში ჩასვლაზე შემდეგ ამბავს იწერებიან: მარკიზი 5 დეკემბერს (23 ნოემბერს) ჩასულა კონსტანტინოპოლში და ნავსადგურზე ინგლისის ელჩი, თავის მხლებლებით და კონსტანტინოპოლში მცხოვრები ინგლისელები მიეგებებიან, კონსტანტინოპოლში ძრიელ გაჰხარებიათ მისი მოსვლა. იმ დღესვე ოსმალის უმთავრესს ვეზირს, მით-პალფაშას და საჭფეტ-ფაშას მოულოცავთ მარკიზისათვის მშვიდობით მოსვლა, პირველს — თავისი ადიუტანტით და ორს დანარჩენს თავიანთი სეკრეტრებითა. იმედი აქვსთ, რომ კონფერენციას სალსბიური გახსნის, რადგან იმის მართებლობის თაოსნობით არის ის მოწვეული.

— საფრანგეთის რესპუბლიკის წარმომადგენელნი სტამბოლის კონფერენციაზე, მურგიენი და გრ. შადორდი, ჩასულან თუ არა კონსტანტინოპოლში, ერთი იმათგანი შადორდი წასულა უმთავრესი ვეზირის სანახავათ. ეს ვერ უნახავს, მაგრამ მაგიერათ ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონია — მიდჰატ და საჭფეტ ფაშებთან. — შადორდისთან მოლაპარაკებით ეს ორი მინისტრი დარწმუნებულა, რომ საფრანგეთის მმართებლობაც მხარს მისცემს რუსეთს სტამბოლის კონფერენციაზე. — ამ დარწმუნებას ძრიელ გლახა შთაბეჭდილება მოუხდენია ოსმალოს მინისტრებზე.

— ვენის ერთი გაზეთის სიტყვით, რუსეთის მართებლობა ვითომც თხოულობსო, რომ ჩერნოგორიელებს, როგორც გამარჯვებულებს (?) ამ უკანასკნელ ომის დროს, ოსმალოს მართებლობამ უნდა უზღოს ის,

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Декабря 1876 г. Типографія Меликова и К°.

რაც ხარჯი მათ—ამ ომის გამოისობით, მოუვიდათო.—როგორც ისმის, გენ. იგნატიევს უნდაო კონფერენციაზე წინადადება შეიტანოსო, ჩერნოგორიის სამზღვრების გადიდებაზე.

**ომის ამბავი.**— იტალიანურს გაზეთებში ძრიელ ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ ხმას, რომ ვითომც—რუსეთსა და ოსმალოს შუა ომის დროს, ინგლისს ეგვიპტეში ჩაყენება ჰსურდეს თავის ჯარებისაო.

— ერთი ფრანციზული გაზეთის („საფრანგეთის") სიტყვებით, გრ. ანდრაში ამ ჟამათ—ავსტრო-ვენგრიის ჯარების ბოსნია და ჰერცოგოვინაში ჩაყენებაზე პროექტს არდგენსო. ამ გაზეთისავე სიტყვებით, მთელი სამხედრო პარტია, რომელიც კი ავსტრიელ ერცგერცოგების მომხრეთ ითვლებიან, აგრეთვე მადიარების პარტია და კონსტიტუციონისტებიც ამ პროექტს დიდის იმედით შეჰყურებენ და მის გათავებას მოუთმენელად მოელიანო. თვით ანდრაში კი მხოლოდ რუსეთისაგან პასუხს მოელისო, რომ ამ პასუხის-და-გვარათ, შეასრულოს ეს პროექტიო.

— ვენის ერთი გაზეთი ამბობს, რომ რუსეთი იმ შემთხვევაში გამოუცხადებს ომს ოსმალოსაო, როდესაც ეს უკანასკნელი სამხედრო ძალით წინააღმდეგობას გაუწევს რუსეთსაო, რომ ამათ თავისი ჯარები ბოლგარიაში არ ჩააყენოს.

— ფრანცუზული გაზეთების სიტყვით, პორტს გამოუცხადებია უმთავრესი სახელმწიფოებისთვის, რომ ოსმალოს მართებლობა იმისთვის რომ დაუმტკიცოს ევროპას—ჩემის მიზეზით არ მომხდარა ომიო, იმ შემთხვევაში, თუ კი მართლა ატყდა, ომი, ის მხოლოდ თავის სამზღვრებს დაიცავს—არც მდ. დუნაის და არც კავკასიას ის არ მიაწევება; ერთის სიტყვით, პირ-იქით არსად არ შეეტაკება რუსეთის ჯარებს.

## ტფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, ჩიტახოვის სახლებში

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

**ო რ შ ა ბ ა თ ს:** ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ზარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს:** ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

**შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფი. ქიუჩარიანცი—ყურისა და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.


## საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

რ ი ს ბ უ ტ მ ა ნ ი, ქ ი მ ი კ ო ს ი პ ე შ ტ ი ტ ა მ,

იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლეებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ქინქვლის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენის დროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი




ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

გ ა მ ო მ გ ო ნ ი პ ა ს უ ხ ს ა გ ე ბ ს.

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.

პრეის-კურანტი:



წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ქინქვლისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ.

დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.



უმთავრესი დეპოარის ტფილისში, დეორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ შ ი, სეგალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; ს ტ ა ვ რ ო პ ო ლ შ ი—კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე ისყიდება თმის საღებავი. 54—36



LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (ფუმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

იმ ეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფ ა ი—გ ა მ ო მ გ ო ნ ი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—86



# განცხადებანი

## წალკოტი

თქმული

დავით გივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.



გამოვიდა ბეჭდიდამ შემოკლებული მხედრული ლოცვანი გამოცემული მღვდლის დ. ღამბაშიძისაგან და ისყიდება თბილისში: ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში: სიმონ ჩომახიძის ტიპოგრაფიაში და დ. ყვირილაში თვითონ გამომცემლის მღ. დ. ღამბაშიძესთან.

ლოცვანის შინაარსია:

ა) დილის ლოცვანი,

ბ). საყოველდღეო ლოცვანი,

გ). ლოცვა ძილად მისვლისა,

დ). ლოცვანი და კეთილნი გულის.

ე). ზრახვანი მოსმენის დროს წირვისა.

ვ). მცირე სერობა,

ზ). პარაკლისი ღვთის მშობლისა,

ე). სრული თვეთა მეტყველება და

თ). მოკლე ხელთა ჩვ წლამდე.

ფასი ყველგან ერთი აბაზი


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) ტ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 26 ნოემბ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $303^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 93 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 179 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 173 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | — | -- |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 79 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . . | 81 | 50 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 250 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 470 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 206 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 720 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 240 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 269 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 9 დეკემბ. | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 40 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 90 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 5 | 60 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 40 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 50 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 50 |
| —ცხვრისა, ლიტრაი . | — | 55 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | — |
| —ფხვნილი ფუთი . . | 7 | 20 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | 20 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 75 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Декабря 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.